

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №193/04
2018 წლის 27 აგვისტო

ქ. თბილისი

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე
„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 52¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 სექტემბრიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ წესის მიზანია ფინანსური სტაბილურობის და საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.
2. ეს წესი განსაზღვრავს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში – ეროვნული ბანკი) რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების პრინციპებს. ასევე ინფორმაციის დაცულობის/უსაფრთხოების პირობებს, რაც უზრუნველყოფს ბიუროს საქმიანობის უწყვეტობას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) საკრედიტო საინფორმაციო ბიურო – მეწარმე სუბიექტი, რომელიც აგროვებს, ინახავს, ამუშავებს და გასცემს პირის შესახებ საკრედიტო ინფორმაციას (შემდგომში – ბიურო) და მეწარმე სუბიექტი, რომელიც აგროვებს, ამუშავებს და გასცემს პირის შესახებ საკრედიტო ინფორმაციას (შემდგომში – პლატფორმა);
 - ბ) ადმინისტრატორი – ბიუროს/პლატფორმის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (გამგეობის) წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან ერთ ან/და ერთზე მეტ პირთან ერთად ბიუროს/პლატფორმის სახელით აიღოს ვალდებულებები;
 - გ) მნიშვნელოვანი წილი – პირის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული ბიუროს/პლატფორმის განაღდებული კაპიტალის ან განცხადებული კაპიტალის ან/და ხმის უფლების მქონე აქციების 10 პროცენტზე მეტი წილი ან/და პირის ან ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფის მიერ ბიუროზე/პლატფორმაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, მიუხედავად კაპიტალში ან/და ხმის უფლების მქონე აქციებში წილის ოდენობისა;
 - დ) მნიშვნელოვანი გავლენა – განმარტება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების



შესაბამისად;

ე) საკრედიტო ინფორმაცია – ფიზიკური ან/და იურიდიული პირის (მათ შორის, ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი) ინფორმაცია სესხის/კრედიტის და გარესაბალანსო ვალდებულებების (საბანკო გარანტია, აკრედიტივი და სხვა) შესახებ;

ვ) არასაკრედიტო ინფორმაცია – ფიზიკური ან/და იურიდიული პირის (მათ შორის, ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი) ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ნებისმიერი ინფორმაცია და სხვა რელევანტური მონაცემი;

ზ) განადგებული საწესდებო კაპიტალი – განცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი;

თ) საოპერაციო აქტივები – ბიუროს ნებადართული საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისათვის საჭირო ნებისმიერი ტიპის აქტივი;

ი) რისკის აპეტიტი – რისკის ის რაოდენობა და მოვლენა, რომელიც ბიუროს/პლატფორმას შეუძლია აიღოს თავისი ზომიდან ან/და სტრატეგიული შესაძლებლობიდან გამომდინარე;

კ) მსხვილი საოპერაციო რისკი – მთლიანი დანაკარგი, რომლის დაფიქსირებული, ან მოსალოდნელი ჯამური თანხა უდრის ან აღემატება 50 000 ლარს;

ლ) მონაცემთა სუბიექტი (პირი/მომხმარებელი) – ნებისმიერი ფიზიკური/იურიდიული პირი (მათ შორის, ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი რომელიც არ არის იურიდიული პირი), რომლის შესახებ ბიუროში/პლატფორმაზე გროვდება, მუშავდება ან ინახება საკრედიტო/არასაკრედიტო ინფორმაცია და სხვა რელევანტური მონაცემი (მათ შორის, მსესხებელი, თანამსესხებელი, თავდები და უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებელი);

მ) გადახდისუნარიანობის ანალიზი – მსესხებლის/თანამსესხებლის, ასევე თავდების და უზრუნველყოფის საშუალების მიმწოდებლის შემოსავლების, ხარჯებისა და ვალდებულებების ანალიზი;

ნ) მონაცემთა დამუშავება – განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ო) სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი – წევრი, რომლის არჩევისას, ბიუროს მიერ მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თითოეული შემთხვევა. ამასთან, რომელიმე შემთხვევის არსებობა არ გულისხმობს პირის დამოუკიდებლობის ავტომატურ გამორიცხვას. ასეთი გარემოებები ბიუროს მიერ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული და წევრის დამოუკიდებლად მიჩნევის შემთხვევაში, შესაბამისად დასაბუთებული. კერძოდ, გასათვალისწინებელია გარემოებები, როდესაც დასანიშნ პირს:

ო.ა) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აქვს ნათესაური კავშირი ბიუროს ადმინისტრატორებთან, ასევე პირ(ებ)თან, რომელიც ბიუროში პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ნათესაურ კავშირში მყოფ პირებად ჩაითვლებიან პირები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში ირიცხებიან;

ო.ბ) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აწარმოებს/აწარმოებდა ბიზნესს ან აქვს/ჰქონია სხვა სახის მატერიალური საქმიანი ურთიერთობა ბიუროს ადმინისტრატორებთან ან პირთან, რომელიც ბიუროში პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს;

ო.გ) აქვს სხვა ისეთი სახის ურთიერთობა, პოზიცია ან კავშირი, რომელიც შესაძლოა, გავლენას ახდენდეს პირის დამოუკიდებლობაზე.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული



მუხლი 3. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება

1. ეროვნული ბანკი ბიუროების/პლატფორმების რეგულირების და ზედამხედველობის კუთხით:

ა) ზედამხედველობას უწევს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნათა დაცვას;

ბ) ახდენს ბიუროების/პლატფორმების რეგისტრაციას და რეგისტრაციის გაუქმებას ამ წესის მიხედვით;

გ) უფლებამოსილია ბიუროს/პლატფორმას, ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე, დაუწესოს ნებისმიერი მოთხოვნა ან/და გასცეს წერილობითი მითითებები;

დ) უფლებამოსილია ბიუროს/პლატფორმას მოსთხოვოს, ხოლო ბიურო/პლატფორმა ვალდებულია უზრუნველყოს სავალდებულო გეგმური და არაგეგმური ტექნიკური და ფინანსური აუდიტის ჩატარება იმ აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელსაც გააჩნია ბიუროს/პლატფორმის მოცულობისა და რისკის პროფილის შესაფერისი პროფესიული გამოცდილება. არაგეგმური აუდიტის ჩატარების დროს, ბიურო/პლატფორმა ვალდებულია აუდიტორის ვინაობა წინასწარ შეუთანხმოს ეროვნულ ბანკს;

ე) უფლებამოსილია ბიუროს/პლატფორმას მოსთხოვოს მომხმარებელთა უფლებების დასაცავად შესაბამისი პროცედურების შემუშავება, ტექნიკური უზრუნველყოფის დანერგვა, ადამიანური რესურსის გამოყოფა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება;

ვ) უფლებამოსილია განახორციელოს ბიუროს/პლატფორმის როგორც ადგილზე, ისე დისტანციური, გეგმური და არაგეგმური შემოწმება (მათ შორის, ბიუროსთან/პლატფორმასთან დაკავშირებული პროცესების შემოწმება);

ზ) უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ინფორმაცია (მათ შორის, ამ წესის მე-6 მუხლში მითითებული დოკუმენტებისაგან დამოუკიდებლად/დამატებით);

თ) თუ ბიუროს/პლატფორმის ადმინისტრატორი არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან ადგილი აქვს საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვან ან სისტემატიურ დარღვევას, უფლებამოსილია ბიუროს/პლატფორმას მოსთხოვოს ადმინისტრატორის თანამდებობიდან გადაყენება;

ი) განსაკუთრებულ შემთხვევებში უფლებამოსილია განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის (ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ფიზიკური პირი) უფლებების შეზღუდვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად;

კ) თუ ბიუროს/პლატფორმის მონაცემთა სერვერი განთავსებულია იმ ქვეყანაში, რომელიც არ აკმაყოფილებს მონაცემთა უსაფრთხოების მოთხოვნებს (მათ შორის, კანონმდებლობის დონეზე), უფლებამოსილია მოსთხოვოს ბიუროს/პლატფორმას მონაცემთა სერვერის ადგილმდებარეობის ცვლილება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადებში;

ლ) უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს შეხვედრა ბიუროს/პლატფორმის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ან/და გარე აუდიტორთან.

2. ეროვნულ ბანკსა და ბიუროს/პლატფორმას შორის მიმოწერა/ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით. ამ ფორმებს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.



მუხლი 4. ბიურო/პლატფორმა

1. ბიურო/პლატფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განცხადების და შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით ნებადართულ საქმიანობას.
2. ბიურო ვალდებულია თავის საფირმო სახელწოდებაში, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აღნიშვნის გარდა, შეიტანოს ტერმინი „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო“, ხოლო პლატფორმა ვალდებულია შეიტანოს ტერმინი – „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო – პლატფორმა“.
3. მეწარმე სუბიექტს ბიუროს/პლატფორმის სტატუსით საქმიანობის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ მისი რეგისტრაციის შემდეგ.
4. ბიუროს მიერ რეგისტრაციის მოთხოვნის პროცესში, ასევე, რეგისტრაციის ძალაში ყოფნის პერიოდში, ბიუროს აქტივების არანაკლებ 50% უნდა შეადგენდეს საკუთარ სახსრებს.
5. ბიუროს მიერ რეგისტრაციის მოთხოვნის პროცესში, ასევე, რეგისტრაციის ძალაში ყოფნის პერიოდში, ბიუროს განაღდებული საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3,000,000 (სამი მილიონი) ლარს. ამ პუნქტის მიზნებისათვის განაღდებული საწესდებო კაპიტალი უნდა გამომდინარეობდეს საოპერაციო აქტივებისა და ბიუროს ჯამური ვალდებულებების (მათ შორის, გარებალანსური ვალდებულებები) სხვაობიდან.
6. ბიურო ვალდებულია მის მიერ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და მის საფუძველზე გამოცემული ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობით გამოწვეული შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა (მათ შორის, კიბერრისკი) არანაკლებ 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობით. პროფესიული პასუხისმგებლობის (მათ შორის, კიბერრისკის) დაზღვევის პირობები უნდა შეთანხმდეს ეროვნულ ბანკთან.
7. პლატფორმა ვალდებულია მის მიერ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და მის საფუძველზე გამოცემული ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობით გამოწვეული შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 200,000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობით. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები უნდა შეთანხმდეს ეროვნულ ბანკთან.
8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის და კომპენსაციის გადახდის შემდეგ, 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში ბიურომ/პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მინიმალური ლიმიტის განახლება.
9. ბიუროს/პლატფორმის ადმინისტრატორთა კვალიფიკაცია და პროფესიული უნარები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.
10. ბიურო/პლატფორმა ვალდებულია განახორციელოს ეროვნული ბანკის დაუყოვნებლივი ინფორმირება, თუ საქმიანობის განხორციელების პროცესში მისთვის ცნობილი გახდა სესხის გამცემი ორგანიზაციების ან ინფორმაციის მიმღებთა/მიმწოდებელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, რაც უკავშირდება პირის შესახებ საკრედიტო, არასაკრედიტო ან/და სხვა რელევანტური ინფორმაციის შეგროვებას, შენახვას, დამუშავებას და გაცემას.
11. ბიურო/პლატფორმა ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო, არასაკრედიტო ან/და სხვა რელევანტური ინფორმაციის შესახებ პრეტენზიების მიღებასა და განხილვაზე (მათ შორის, მონაცემთა შესაბამის მიმღებთან/მიმწოდებელთან ერთად) პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისა და პირების არსებობა.
12. ბიუროს/პლატფორმას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა,



პოლიტიკა/პროცედურები და ადამიანური რესურსები, რათა უზრუნველყოს ფინანსური, საოპერაციო, იურიდიული და სხვა რისკების ადეკვატური მართვა, მონიტორინგი და კონტროლი.

13. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს, პლატფორმის მიერ წარდგენილი პროდუქტის განხილვა „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 25 მაისის №110/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით დადგენილი წესით და მოთხოვნების დაცვით.

14. ბიურო ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში უზრუნველყოს მინიმუმ ერთი დამოუკიდებელი წევრის არსებობა. გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უნდა შეეზღუდოს სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელსაც ექნება ინტერესთა კონფლიქტი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №327/04 - ვებგვერდი, 31.12.2024 წ.

მუხლი 5. ბიუროს და პლატფორმის საქმიანობა

1. ბიუროსათვის ნებადართულია მხოლოდ შემდეგი საქმიანობის სახეობები:

ა) პირის (მონაცემთა სუბიექტი) შესახებ საკრედიტო, არასაკრედიტო ინფორმაციის ან/და სხვა რელევანტური მონაცემის შეგროვება, შენახვა, აღრიცხვა, გაცემა და სხვაგვარად დამუშავება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

ბ) სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის რეალიზაცია, რომელიც აუცილებელია საკრედიტო საინფორმაციო სისტემის მონაწილეთა (სესხის გამცემი ორგანიზაცია და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი) საქმიანობის ავტომატიზაციისათვის;

გ) მონაცემთა სუბიექტების გადახდისუნარიანობის შეფასება (მათ შორის, სტატისტიკური, ქცევითი და სხვა შეფასების მოდელების შემუშავება);

დ) ანალიტიკური, საგანმანათლებლო საქმიანობა და კონსულტაციების გაწევა შესაბამის სფეროში. აღნიშნულის მიზნებისთვის ბიურომ წინასწარ უნდა შეუთანხმოს ეროვნულ ბანკს მესამე მხარისთვის შეთავაზებული ნებისმიერი პროდუქტი/სერვისი (მათ შორის, ბიუროში დაცული მონაცემების ნებისმიერი სახით დამუშავება);

დ¹) მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სესხის გამცემი ორგანიზაციის და ინფორმაციის მიმღების/მიმწოდებლის ციფრულ არხებში პირის (მონაცემთა სუბიექტის) იდენტიფიკაციის სერვისის მიწოდება, ამ პირის (მონაცემთა სუბიექტის) თანხმობის მოპოვებისა და ბიუროში მასზე დაცული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით;

ე) ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით განხორციელებული სხვა რელევანტური საქმიანობა.

2. ბიუროს მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საქმიანობების განხორციელება ნებადართულია ამ წესის და „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესით“ დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული საქმიანობის განხორციელებამდე, ბიურო ვალდებულია აღნიშნული აცნობოს ეროვნულ ბანკს.

4. პლატფორმისთვის ნებადართულია, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ბიუროსგან პირის (მონაცემთა სუბიექტი) შესახებ საკრედიტო, არასაკრედიტო ინფორმაციის ან/და სხვა რელევანტური მონაცემების მიღება, დამუშავება და მესამე პირსათვის გადაცემა.

5. პლატფორმის საქმიანობაზე არ ვრცელდება „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში



ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანების მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №327/04 - ვებგვერდი, 31.12.2024 წ.

მუხლი 6. ბიუროს და პლატფორმის ეროვნულ ბანკში რეგისტრაცია

1. მეწარმე სუბიექტმა, ბიუროს/პლატფორმის რეგისტრაციის მიზნით, ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით, რომელსაც თან უნდა დაერთოს ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

2. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) საფირმო სახელწოდების შესახებ;

ბ) სამართლებრივი ფორმის შესახებ;

გ) იურიდიული მისამართის შესახებ;

დ) განაღდებული კაპიტალის ოდენობის შესახებ.

3. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) რეგისტრირებული წესდების დედანი ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

გ) ბიზნეს გეგმა და მომდევნო სამი წლის ფინანსური პროგნოზი;

დ) მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანიის მიერ მომზადებული ტექნიკური აუდიტის დასკვნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს, რომ განმცხადებლის ტექნიკური/პროგრამული შესაძლებლობები სრულად პასუხობს ამ წესის მოთხოვნებს;

ე) დოკუმენტები ადმინისტრატორის დანიშვნის თაობაზე;

ვ) ადმინისტრატორების პირადი რეზიუმე (CV);

ზ) მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა/ადმინისტრატორთა ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის ფინანსური სახსრების წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (მათ შორის, ფინანსური ანგარიშგება);

თ) ინფორმაცია ბიუროსა და ადმინისტრატორთა ვალების შესახებ;

ი) ცნობა ადმინისტრატორების და მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ნასამართლობის შესახებ. ამ ქვეპუნქტის საფუძველზე ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, ხოლო უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ნასამართლობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს;

კ) მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა/ადმინისტრატორთა ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი). იურიდიული პირის შემთხვევაში, სადამფუძნებლო დოკუმენტაცია;

ლ) ადმინისტრატორთა ხელწერილი ამ წესით დადგენილი შესაფერისობის კრიტერიუმებთან მათი შესაბამისობის თაობაზე;

მ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იმ უძრავ ქონებაზე სარგებლობის, ან საკუთრების უფლებას, სადაც განთავსებული იქნება ბიურო (ადმინისტრაციული ოფისი, საოპერაციო აქტივების განთავსების



ადგილი და სხვა);

ნ) ინფორმაცია/დოკუმენტაცია ადმინისტრატორთა განათლების ან/და გამოცდილების შესახებ;

ო) განმცხადებლის ბოლო 3 წლის საგადასახადო დეკლარაციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

პ) ბოლო სამი წლის ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის დასკვნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ჟ) შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რითაც დასტურდება ბიუროს მიერ ამ წესის მე-11, მე-13, მე-14 და მე-15 მუხლებთან შესაბამისობა.

4. ამ წესის მიზნებისათვის ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული. უცხოენოვანი დოკუმენტების წარმოდგენა ხორციელდება ნოტარიულად დამოწმებული ოფიციალური ქართული თარგმანის სახით.

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მეწარმე სუბიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გარდა დამატებით მოსთხოვოს ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია და განუსაზღვროს მას აღნიშნული ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის წარდგენის ფორმა და ვადა.

6. პლატფორმაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის „თ“, „მ“ ქვეპუნქტების და „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამ წესის მე-15 მუხლთან შესაბამისობის მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №327/04 - ვებგვერდი, 31.12.2024 წ.

მუხლი 7. ბიუროს და პლატფორმის მნიშვნელოვანი წილის მფლობელის და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმები

1. პირს ეკრძალება, იყოს ბიუროს/პლატფორმის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, თუ იგი ნასამართლევია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.

2. ბიუროს/პლატფორმის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი უნდა სარგებლობდეს სათანადო რეპუტაციით.

3. პირი შეიძლება იყოს ბიუროს/პლატფორმის ადმინისტრატორი, თუ:

ა) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად არ ცნო;

ბ) იგი არ არის ნასამართლევი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის;

გ) მას აქვს სათანადო განათლება ან/და საკრედიტო-საინფორმაციო საქმიანობის, ან მსგავსი საქმიანობის განხორციელების მინიმუმ 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება. ადმინისტრატორის განათლებისა და გამოცდილების დონე შესაბამისობაში უნდა იყოს ბიუროს/პლატფორმის და უშუალოდ მისი ფუნქციების მასშტაბებთან და კომპლექსურობასთან;

დ) არ მონაწილეობდა ოპერაციაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დამსაქმებელ ორგანიზაციას ან/და გამოიწვია ორგანიზაციის გადახდისუუნარობა ან გაკოტრება;

ე) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ბოროტად არ გამოიყენა თავისი უფლებები;

ვ) ნებისმიერი გამსესხებლის მიმართ შესრულებული აქვს ან/და ასრულებს სასესხო/საკრედიტო ვალდებულებებს;

ზ) არ არის გამოცხადებული გადახდისუუნაროდ/გაკოტრებულად.



მუხლი 8. რეგისტრაციის შესახებ განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღება

1. მეწარმე სუბიექტის მიერ ბიუროდ/პლატფორმად რეგისტრაციის შესახებ წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მიღებიდან 60 (სამოცი) სამუშაო დღის განმავლობაში ეროვნული ბანკი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი ასლი ეგზავნება დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს. საკითხის სირთულიდან გამომდინარე, პასუხის გაცემის ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 30 (ოცდაათი) სამუშაო დღემდე და ამის შესახებ უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

2. თუ დაინტერესებული მეწარმე სუბიექტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ეროვნული ბანკი დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომლის განმავლობაშიც ჩერდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებული მეწარმე სუბიექტისათვის ბიუროდ/პლატფორმად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტები არ იქნა მოწოდებული ან/და მოწოდებული დოკუმენტაცია არ არის სრული;

ბ) დაინტერესებული მეწარმე სუბიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და/ან დოკუმენტები არის ყალბი, არასრული, და/ან შეუსაბამო საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, ან არ არის მოწოდებული წინამდებარე წესით განსაზღვრულ ვადებში;

გ) ეროვნული ბანკის მიერ დადგინდა, რომ მეწარმე სუბიექტი, მისი ადმინისტრატორი/მნიშვნელოვანი წილის მფლობელი არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს ან/და არღვევს, არ შეესაბამება იმ პირობებს, რომლებიც დადგენილია ბიურობისთვის/პლატფორმებისათვის ამ წესით ან/და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

4. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაინტერესებული მეწარმე სუბიექტის გარკვეული პირობებით რეგისტრაციის თაობაზე. ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება შესაბამისი პირობები და ვადა, რომლის განმავლობაშიც ბიუროდ/პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს პირობების დაკმაყოფილება და მხოლოდ ამის შემდგომ განახორციელოს საქმიანობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.

მუხლი 9. ცვლილებების რეგისტრაცია

1. ბიურო/პლატფორმა, საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის და იურიდიული მისამართის შეცვლის შემთხვევაში, ვალდებულია ამ ცვლილების განხორციელებამდე ხუთი სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობოს ეროვნულ ბანკს.

2. ადმინისტრატორების ცვლილების შემთხვევაში, ბიუროდ/პლატფორმამ ეროვნულ ბანკს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე უნდა წარუდგინოს ბიუროს/პლატფორმის რეგისტრაციის დროს წარსადგენი დოკუმენტაცია და ინფორმაცია ადმინისტრატორის შესახებ. თუ აღმოჩნდა, რომ ადმინისტრატორი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ წესით დადგენილ კრიტერიუმებს, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს ბიუროს/პლატფორმას მისი თანამდებობიდან გადაყენება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.

მუხლი 10. ბიუროს და პლატფორმის რეგისტრაციის გაუქმება



1. ბიუროს/პლატფორმის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ეროვნული ბანკი გამოცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც უნდა მიეთითოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

2. რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს:

ა) ბიუროს/პლატფორმის წამომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის წერილობითი განცხადება რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ბიუროს/პლატფორმის შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად;

ბ) აქციონერთა და/ან შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება, როდესაც ბიურო/პლატფორმა ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება;

გ) ეროვნული ბანკის შეფასებით ან/და შემოწმების საფუძველზე, ბიურო/პლატფორმა ვერ უზრუნველყოფს მისთვის მინდობილი მონაცემების და/ან ინფორმაციის უსაფრთხოებას;

დ) ეროვნული ბანკის შეფასებით ან/და შემოწმების საფუძველზე, ბიურო/პლატფორმა ეწევა ან ეწეოდა არაჯანსაღ სამეწარმეო პრაქტიკას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტებს;

ე) ბიუროს/პლატფორმის სხვა ბიუროსთან/პლატფორმასთან შერწყმის, მიერთების, გაერთიანების ან გაყოფის შემთხვევა;

ვ) თუ ბიუროს საკუთარი სახსრები შეადგენს მისი აქტივების 50%-ზე ნაკლებს;

ზ) ბიუროს/პლატფორმის მიერ დაირღვა ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით ან მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები;

თ) ბიუროს/პლატფორმას სასამართლოს მიერ ჩამოერთვა საქმიანობის განხორციელების უფლება;

ი) ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის მიზნით წარდგენილ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი სიყალბე ან/და არაზუსტი ინფორმაცია;

კ) ბიუროს/პლატფორმის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამოღება/რეგისტრაციის გაუქმება;

ლ) ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით ეროვნული ბანკისთვის ბიუროს მიერ ზედიზედ ორჯერ ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის დასკვნის წარუდგენლობა;

მ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი ბიუროსათვის/პლატფორმისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან/და ლიკვიდაციის თაობაზე;

ნ) ბიურო/პლატფორმა არ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს ან/და ეროვნული ბანკის წერილობით მითითებებს ან/და შემოწმებაზე არ დაუშვა ეროვნული ბანკის თანამშრომლები;

ო) ბიუროს/პლატფორმის მიერ რეგისტრაციის დღიდან 12 თვის განმავლობაში საქმიანობის განუხორციელებლობა, ხოლო მოქმედი ბიუროს/პლატფორმის მიერ საქმიანობის 6 თვეზე მეტი ხნით შეწყვეტა.

3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბიუროს/პლატფორმას (ასევე მის ფილიალს და შვილობილ კომპანიას) გაუუქმოს რეგისტრაცია, თუ ეროვნული ბანკისათვის ცნობილი გახდა, რომ ბიუროს/პლატფორმის სათავე დაწესებულებას ჩამოერთვა მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში სათანადო ოპერაციების წარმოების უფლება.

4. ბიურო ვალდებულია რეგისტრაციის გაუქმებისას, გადახდისუუნარობის ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში, ბიუროში დაცული ინფორმაცია (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტების პერსონალური



მონაცემები) სრულად გადასცეს ეროვნულ ბანკს, რომელიც მონაცემთა ბაზის შემდგომი გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან შეთანხმებით.

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია პლატფორმას გაუუქმოს რეგისტრაცია, თუ პლატფორმის მიერ წარდგენილმა პროდუქტმა წარმატებით ვერ გაიარა „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 25 მაისის №110/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული ტესტირების ეტაპები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №327/04 - ვებგვერდი, 31.12.2024 წ.

მუხლი 11. მნიშვნელოვანი წილის შეძენა

1. პირი, რომელიც აპირებს შეიძინოს ბიუროს/პლატფორმის მნიშვნელოვანი წილი იმ ოდენობით, რომ ამ ბიუროს/პლატფორმის კაპიტალში მისი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) მონაწილეობა 10 ან 50 პროცენტს გადააჭარბებს, ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ამ წესის მე-6 და მე-7 მუხლებით განსაზღვრული დოკუმენტაცია/ინფორმაცია მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესახებ.

2. ეროვნულ ბანკს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება მნიშვნელოვანი წილის შეძენის ტრანზაქციის შეფასების მიზნებისათვის დამატებით მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

3. ეროვნული ბანკი განაცხადს მნიშვნელოვანი წილის შეძენის თაობაზე განიხილავს მისი წარდგენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში და დაინტერესებულ პირს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობას აძლევს ან დასაბუთებულ უარს ეუბნება.

4. განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში ეროვნული ბანკის მიერ დაინტერესებული პირისათვის პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემას.

5. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ხარვეზის აღმოსაფხვრელად ან/და დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარსადგენად დაინტერესებულ პირს განუსაზღვროს მაქსიმუმ 30 კალენდარული დღე, რომლის განმავლობაშიც ჩერდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინება. დადგენილი ვადის გაშვება წარმოადგენს დაინტერესებული პირისათვის ბიუროს/პლატფორმის მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე უარის თქმის საფუძველს.

6. ბიუროს/პლატფორმის მნიშვნელოვანი წილის შეძენის თაობაზე გარიგება ბათილია, თუ დაინტერესებულმა პირმა ეროვნულ ბანკს არ წარუდგინა ამ წესის მე-6 და მე-7 მუხლებით განსაზღვრული დოკუმენტაცია/ინფორმაცია მნიშვნელოვანი წილის მფლობელის შესახებ ან ეროვნული ბანკისგან მიღებული დასაბუთებული უარის მიუხედავად, მაინც შეიძინა მნიშვნელოვანი წილი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.

მუხლი 12. ბიუროს და პლატფორმის ადმინისტრატორთა ვალდებულებები

1. ბიუროს/პლატფორმის ადმინისტრატორი ვალდებულია ბიუროს/პლატფორმის საქმიანობა წარმართოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, უზრუნველყოს ბიუროს/პლატფორმის წინაშე მდგარი ფინანსური, საოპერაციო, იურიდიული თუ სხვა რისკების ადეკვატური მართვა.

2. ბიუროს/პლატფორმის ადმინისტრატორი პასუხისმგებელია უზრუნველყოს ორგანიზაციის მასშტაბით პოლიტიკის, პროცედურებისა და შესაბამისი სისტემების არსებობა ფინანსური, იურიდიული, საოპერაციო და სხვა რისკების მართვის ჭრილში, რომელიც მოიცავს ყველა პროდუქტს, მომსახურებას და ოპერაციებს და რომელიც თანხვედრაშია ბიუროს/პლატფორმის რისკის პროფილთან.

3. ბიუროს/პლატფორმის ადმინისტრატორმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის სათანადო და კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტება, იზრუნოს კომპეტენტურობის და პატიოსნების



პრინციპების ამაღლებასა და განვითარებაზე.

4. ბიუროს/პლატფორმის ადმინისტრატორთა პასუხისმგებლობაა, რომ რისკების მიმართულებით ამაღლდეს ცნობიერების დონე მთელი ორგანიზაციის მასშტაბით იმ მიზნით, რომ ბიუროს/პლატფორმის ყველა თანამშრომელი სათანადოდ ინფორმირებული იყოს, თუ რისგან შედგება და რას მოიცავს ბიუროს/პლატფორმის წინაშე მდგარი სხვადასხვა ტიპის რისკი.

5. ადმინისტრატორი პასუხისმგებელია, რომ ბიურომ/პლატფორმამ შეიმუშაოს მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენის შესახებ ეროვნული ბანკისათვის შეტყობინების მექანიზმი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.

მუხლი 13. ბიუროს და პლატფორმის საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო

1. საქართველოში მოქმედ ყველა ბიუროს/პლატფორმას უნდა გააჩნდეს საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო (შემდგომში – ჩარჩო).

2. ბიურო/პლატფორმა ვალდებულია რეგულარულად შეაფასოს ჩარჩოს ადეკვატურობა და განაახლოს ის მოსალოდნელი საოპერაციო რისკებისა და რისკის პროფილის ცვლილების შესაბამისად.

3. ჩარჩოში შემავალი ყველა პოლიტიკა/პროცედურა სრულიად უნდა იყოს ფორმალიზებული და წერილობით დოკუმენტირებული. საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩო უნდა შეიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

ა) საოპერაციო რისკების მართვის მიზნებსა და რისკის აპეტიტს;

ბ) ბიზნეს უწყვეტობის მართვას/გეგმას, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს ინციდენტის შემთხვევაში აღდგენის კომპონენტსაც;

გ) საინფორმაციო სისტემების მართვას;

დ) საინფორმაციო უსაფრთხოებას;

ე) თაღლითობის რისკების იდენტიფიცირების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და კონტროლის მექანიზმს;

ვ) რისკების შეფასების ინსტრუმენტებს და მეთოდებს, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ინსტრუმენტებით:

ვ.ა) საოპერაციო რისკების დანაკარგის განმარტებას;

ვ.ბ) საოპერაციო რისკების დანაკარგების მონაცემთა ბაზას;

ვ.გ) ბიზნეს პროცესების იდენტიფიცირებას და განსაზღვრას;

ვ.დ) ძირითადი რისკების ინდიკატორებს;

ვ.ე) რისკების მართვის პროცესის სასიცოცხლო ციკლს, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ვ.ე.ა) რისკების იდენტიფიცირებას, კონტროლის მექანიზმების შემუშავებას და დანერგვას;

ვ.ე.ბ) რისკების მონიტორინგს და ანგარიშგებას;

ვ.ე.გ) რისკების შერბილებას (მიტიგაციას) და ნარჩენი რისკების შეფასებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.



მუხლი 14. მოთხოვნები საინფორმაციო სისტემების მიმართ

1. ბიუროს/პლატფორმას უნდა გააჩნდეს პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მოიცავს ორგანიზაციის არსებული საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების ადეკვატურობის და უსაფრთხოების საკითხებს.
2. საინფორმაციო სისტემებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები უნდა ეფუძნებოდეს აღიარებულ სტანდარტს და მეთოდოლოგიას.
3. ბიურომ/პლატფორმამ უნდა დანერგოს ისეთი საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები, რომელიც შესაფერისია და შეესაბამება მის მიერ განხორციელებულ და სამომავლო ოპერაციების მოცულობასა და კომპლექსურობას.
4. ბიურომ/პლატფორმამ რეგულარულად უნდა შეაფასოს და გადახედოს საინფორმაციო სისტემების შესაბამისობას და შესაფერისობას ბიუროს/პლატფორმის ზომის, კომპლექსურობისა და სირთულის გათვალისწინებით.
5. ბიურო/პლატფორმა ვალდებულია შეიმუშაოს საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საინფორმაციო უსაფრთხოების მიზნებს და სტრატეგიას. აღნიშნული გულისხმობს ორგანიზაციაში არსებული მონაცემების სათანადო დაცვას.
6. საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკამ უნდა მოიცვას ბიუროში/პლატფორმაზე არსებული ყველა მონაცემის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი.
7. ბიურომ არანაკლებ წელიწადში ორჯერ, ხოლო პლატფორმამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ უნდა ჩაატაროს შეღწევადობის ტესტირება, რომელიც განხორციელდება გარე აუდიტორული კომპანიის ან სხვა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციის მონაწილეობით, რომლის ვინაობაც წინასწარ უნდა შეთანხმდეს ეროვნულ ბანკთან. შეღწევადობის ტესტირებამ უნდა მოიცვას ორგანიზაციის ყველა საინფორმაციო სისტემა და დაკავშირებული პროცესები.
8. ბიურომ/პლატფორმამ, არანაკლებ წელიწადში ერთხელ, უნდა განახორციელოს საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების დამოუკიდებელი აუდიტი, რომელიც განხორციელდება გარე აუდიტორული კომპანიის ან სხვა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციის მიერ, რომლის ვინაობაც წინასწარ უნდა შეთანხმდეს ეროვნულ ბანკთან.
9. საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების აუდიტი მინიმუმ უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ბიზნეს უწყვეტობის მართვის, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და მონაცემთა ხარისხის მართვის გარემოს. საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის გარემოს ფარგლებში ჩატარებულმა აუდიტმა მთლიანად უნდა მოიცვას ბიუროს/პლატფორმის საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკა და დაკავშირებული პროცესები.
10. ბიურო/პლატფორმა ვალდებულია ინფორმაციის უსაფრთხოების და დაცულობის ნებისმიერი ხარვეზი დაუყოვნებლივ შეატყობინოს ეროვნულ ბანკს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №202/04 - ვებგვერდი, 04.08.2023 წ.

მუხლი 15. მოთხოვნები ბიზნესის უწყვეტობის მართვის შესახებ

1. ბიურო ვალდებულია გააანალიზოს და შეიმუშაოს ადეკვატური კონტროლის ღონისძიებები იმ არსებითი საფრთხეების მიმართ, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ბიუროს გამართულ და უწყვეტ ფუნქციონირებას.
2. ბიუროს უნდა გააჩნდეს ნათელი და საფუძვლიანად დოკუმენტირებული ბიზნესის უწყვეტობის გეგმა. აღნიშნული ემსახურება ბიზნესის უწყვეტობის მაღალი დონის მიღწევას, რაც შესაძლებლობას მისცემს ორგანიზაციას უწყვეტ რეჟიმში მიაწოდოს საკუთარი მომსახურება მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ მხარეებს და ინციდენტის შემთხვევაში დროულად აღადგინოს ოპერაციები.
3. ბიზნესის უწყვეტობის გეგმა უნდა შეიცავდეს წერილობით პოლიტიკას და პროცედურებს, რომელიც



უზრუნველყოფს ორგანიზაციის უწყვეტ რეჟიმში მუშაობას და დეტალურად ასახავს ბიუროს გეგმებს და რეაგირების მექანიზმებს მოულოდნელი სიტუაციის/მოვლენების ან/და ორგანიზაციის ოპერაციებში მსხვილი წყვეტის დაფიქსირებისას.

4. ბიზნესის უწყვეტობის გეგმა უნდა შედგებოდეს შემდეგი საფეხურებისგან:

ა) ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზი (ორიენტირებული კრიტიკულ ბიზნეს პროცესებზე);

ბ) რისკების შეფასება;

გ) რისკების მართვა;

დ) რისკების მონიტორინგი;

ე) რეგულარული ტესტირება.

5. ბიუროს უნდა გააჩნდეს როგორც ძირითადი, ასევე ალტერნატიული მონაცემთა ცენტრი, რომელიც იქნება ძირითადი მონაცემთა ცენტრისგან გეოგრაფიულად დივერსიფიცირებული.

6. ბიუროს მონაცემთა მინიმუმ ერთი ცენტრი (მათ შორის, ყველა საჭირო ტექნიკური უზრუნველყოფა), უნდა მდებარეობდეს საქართველოში.

7. ბიუროს ალტერნატიული მონაცემთა ცენტრი არ უნდა იყოს გამჟღავნებული იგივე რისკების მიმართ, რომლის მიმართაც გამჟღავნებულია ბიუროს ძირითადი მონაცემთა ცენტრი.

8. ბიურომ უნდა განახორციელოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის სრული ტესტირება არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

9. ბიზნესის უწყვეტობის გეგმა უნდა შეფასდეს და განახლდეს რეგულარულად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ფიქსირდება ან/და ახალი პროდუქტების შემოღება იგეგმება.

10. ბიურო ვალდებულია ტესტირების შედეგები აღრიცხოს დეტალურად, როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით და მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს ეროვნულ ბანკს.

მუხლი 16. მოთხოვნები აუთოსორსინგულ ოპერაციებთან დაკავშირებით

1. ბიურო ვალდებულია ამ წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის მიღების მიზნით, აუთოსორსინგული ურთიერთობის, რაც უშუალოდ უკავშირდება ბიუროს ძირითად საქმიანობას და ძირითადი საქმიანობის საინფორმაციო სისტემებს, დამყარებამდე არანაკლებ 30 სამუშაო დღით ადრე აცნობოს ეროვნულ ბანკს.

2. აუთოსორსინგული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს იმ პირობის დაცვით, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხელი არ შეეშალოს ან შეფერხდეს ეროვნული ბანკის მიერ ბიუროს საქმიანობის დროული და შეუფერხებელი აღდგენა, ასევე ბიუროს ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება.

3. მესამე მხარეთა არსებული აუთოსორსინგული სახელშეკრულებო ურთიერთობები და ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები/ვალდებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, ამ წესის და „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის მოთხოვნებს.

4. აუთოსორსინგული ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულებაში უნდა ჩაიდოს პირობა იმის შესახებ, რომ ეროვნულ ბანკს, როგორც ბიუროს ზედამხედველ ორგანოს, მიენიჭოს უფლება ბიუროსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის დაუყოვნებელი და უპირობო გამოთხოვის შესახებ.

5. ბიუროსათვის უცხოური კომპანიის აუთოსორსინგულმა მომსახურების გაწევამ და საქართველოს ფარგლებს გარეთ კრიტიკული მონაცემების და პროცესების გატანამ ხელი არ უნდა შეუშალოს



ეროვნული ბანკის მიერ ბიუროს სრულყოფილი ზედამხედველობის განხორციელების, მათ შორის, შემოწმების, ასევე ბიუროს ლიკვიდაციის შემთხვევაში ბიუროში დაცული მონაცემთა ბაზის ეროვნული ბანკისათვის გადაცემის შესაძლებლობას.

6. ბიურო ვალდებულია ჩაატაროს რისკების ადეკვატური და კომპეტენტური შეფასება აუტოსორსინგულ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ მოიცავს ბიუროს მიერ კომპანიის შესახებ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის სრულყოფილ ანალიზს, რომელიც გულისხმობს არანაკლებ ბოლო (ყველაზე ახალი) დამოუკიდებელი ფინანსური/ტექნოლოგიური აუდიტის დასკვნის შეფასებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ აუტოსორსინგული მომსახურება ხორციელდება ისეთ კომპანიასთან, რომელიც მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, ბიურო ვალდებულია აუტოსორსინგული კომპანიის აუდიტის დასკვნის ასლი იქონიოს და შეინახოს საქართველოს ტერიტორიაზე. საჭიროების შემთხვევაში და ეროვნული ბანკის მოთხოვნით, ბიურო ვალდებულია რისკების შეფასება, ისევე როგორც კომპანიის აუდიტის დასკვნა დაუყოვნებლივ მიაწოდოს ეროვნულ ბანკს.

7. ბიუროს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ბიუროს აუტოსორსინგულ ოპერაციებს, რაც გულისხმობს ბიუროს კრიტიკულ ინფორმაციაზე დროულ წვდომასა და მომსახურების განახლებას მოულოდნელი ეროვნული ან გეოგრაფიული შეზღუდვების ან შეფერხებების პირობებში, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის მიერ აუტოსორსინგული მომსახურების ადეკვატურად მიწოდებაზე.

8. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნები არ სრულდება მესამე მხარის (კომპანიის) მიერ, რომელიც ბიუროს აწვდის აუტოსორსინგულ მომსახურებას, ბიუროს ეკისრება პასუხისმგებლობა ამ წესის მოთხოვნების შეუსრულებლობაზე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 52¹ მუხლის შესაბამისად.

მუხლი 17. ეროვნული ბანკის მიერ აუტოსორსინგის შეტყობინების განხილვა

1. ამ წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში ეროვნული ბანკი განიხილავს დაგეგმილ აუტოსორსინგულ ურთიერთობას და ბიუროს აძლევს თანხმობას ან ეუბნება უარს ასეთი ურთიერთობის დამყარების შესახებ. აუტოსორსინგული ურთიერთობის სირთულიდან გამომდინარე პასუხის გაცემის ვადა შეიძლება დამატებით გაგრძელდეს 45 სამუშაო დღემდე და ამის შესახებ უნდა ეცნობოს ბიუროს.

2. ამ წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების წარდგენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში ეროვნული ბანკის მიერ პასუხის გაუცემლობა ავტომატურად ნიშნავს შესაბამისი აუტოსორსინგული ურთიერთობის დამყარებაზე თანხმობის მიცემას.

3. აუტოსორსინგული ხელშეკრულება ბათილია, თუ ბიურომ ეროვნულ ბანკს არ შეატყობინა დაგეგმილი აუტოსორსინგული ურთიერთობის თაობაზე, თანხმობის მისაღებად ეროვნულ ბანკს წარუდგინა არასწორი/არაზუსტი ინფორმაცია ან ეროვნული ბანკისაგან მიიღო დასაბუთებული უარი, მაგრამ მაინც დადო აუტოსორსინგული ხელშეკრულება.

მუხლი 18. გარდამავალი დებულებები

1. პირი საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობის განხორციელების მიზნით ვალდებულია 2018 წლის 1 სექტემბრიდან რეგისტრაცია გაიაროს საქართველოს ეროვნულ ბანკში და დააკმაყოფილოს ამ წესისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე დადგენილი მოთხოვნები.

2. იმ შემთხვევაში, თუ ბიუროს საქმიანობის განხორციელების მსურველი პირი ეროვნულ ბანკში რეგისტრაციისას ვერ აკმაყოფილებს ამ წესითა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტით დადგენილ მოთხოვნებს, იგი ვალდებულია რეგისტრაციისათვის წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან/ინფორმაციასთან ერთად, წარადგინოს წინამდებარე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გონივრული გეგმა. ეროვნული ბანკი განიხილავს შესაბამისობაში მოყვანის გეგმას და თანხმობას უცხადებს ან უარს ეუბნება პირს ბიუროდ რეგისტრაციაზე. შესაბამისობაში მოყვანის გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი განახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქმედებებს.



3. ბიურო ვალდებულია ამ წესის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის მოთხოვნა დააკმაყოფილოს 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №120/04 - ვებგვერდი, 14.09.2022 წ.

